

## გამოყენების წესები და პირობები

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება „www.agsoland.ge“-ზე (შემდგომში - „საიტი“ ან „ვებ-გვერდი“), რომელსაც მართავს შპს „აგსო ლენდი“ (ს/კ: 420427407, შემდეგში - „კომპანია“, „ჩვენ“ ან „ჩვენი“). წინამდებარე საიტის გამოყენების წესები და პირობები (შემდგომში - „გამოყენების პირობები“, „პირობები“ ან „ხელშეკრულება“) აწესრიგებს თუ როგორ ხდება საიტის მომხმარებლის (შემდგომში - „მომხმარებელი“, „თქვენ“ ან „თქვენი“) მიერ საიტზე წვდომა, შესვლა, მისი გამოყენებით განაცხადის შევსება, ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული პირობების რეგულირება, კონფიდენციალობის დაცვა, პერსონალური მონაცემების გამოყენება და სხვა. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ პირობებს, ვინაიდან ის წარმოადგენს კანონიერ შეთანხმებას.

**საიტზე შესვლით და მისი გამოყენებით, ასევე შესაბამის ველში მონიშვნის გაკეთებით, თქვენ ეთანხმებით ამ პირობებს. თუ თქვენ არ ეთანხმებით მოცემულ ხელშეკრულებას, მაშინ თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ ისარგებლოთ ამ ვებ-გვერდით და დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ მისი მოხმარება.**

### 1. მომსახურების შინაარსი

- 1.1. ამ პირობებით თქვენ ეთანხმებით, რომ ვებ-გვერდი არის ონლაინ პლატფორმა, რომელიც საშუალებას გაძლევთ გაეცნოთ კომპანიის მომსახურებას და გააკეთოთ განაცხადი შესაბამისი მომსახურების მისაღებად.

### 2. საიტის მომხმარებლის პირობები

- 2.1. საიტის მეშვეობით, მომხმარებელს საშუალება ეძლევა მოიძიოს სასურველი მომსახურება და შემდგომი თანამშრომლობის მიზნით შეავსოს საიტზე განთავსებული ინფორმაციული ველი.
- 2.2. საიტზე განთავსებული ველის მონიშვნით საიტის მომხმარებელი აცხადებს თანხმობას:
  - 2.2.1. რომ გაეცნოს ამ ხელშეკრულების პირობებს, ეს პირობები არის მისთვის მისაღები.
  - 2.2.2. მის მიერ საიტზე განთავსებული პერსონალური მონაცემების მათ შორის, სახელის, გვარის, პირადი ნომერის, ტელეფონის ნომერის, მისამართის, უძრავი ნივთის მისამართის, საკადასტრო კოდის ან/და სხვა ნებისმიერი მონაცემის, კომპანიის მიერ, დამუშავებაზე, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის ხარისხიანი და შესაბამისი მომსახურების გაწევას.
  - 2.2.3. მის მიერ შევსებული ნებისმიერ პერსონალურ მონაცემზე, ინფორმაციის სისწორეზე და სისრულეზე პასუხისმგებელია თავად მომხმარებელი.
  - 2.2.4. რომ ამ ვებ-გვერდის წვდომისა და გამოყენებისას, აკმაყოფილებს ყველა მოქმედ კანონმდებლობას და შესაბამის რეგულაციებს.
  - 2.2.5. რომ არ გამოიყენებს საიტს ნებისმიერ უკანონო საქმიანობაში.

### 3. პერსონალური მონაცემთა დაცვა

- 3.1. ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკა აღწერს, თუ როგორ ვეპყრობით საიტის მეშვეობით თქვენგან მიღებულ პერსონალურ ინფორმაციას. საიტზე შესვლით თქვენ აღნიშნავთ, რომ გესმით და ეთანხმებით ინფორმაციის დამუშავების, გამოყენების და

გამჟღავნების პრაქტიკის წესებს რომელიც აღწერილია ჩვენს კონფიდენციალობის პოლიტიკაში და გაერთიანებულია ამ პირობებთან.

- 3.2. კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემთა დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 3.3. კომპანია უფლებამოსილია დაამუშაოს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს წარმოადგენს მომხმარებლის თანხმობა, მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად, მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კომპანიის კანონიერი ინტერესების დასაცავად, მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით ან/და მონაცემთა დამუშავება საჭიროა კომპანიის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.
- 3.4. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად კომპანიის უფლებების განხორციელების მიზნით. გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანია უფლებამოსილია გადასცეს მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია მესამე პირებს, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოებს მოთხოვნის შემთხვევაში, საპატრულო პოლიციას, პროკურატურის სტრუქტურაში შემავალ პირებს, გამომძიებელს, პროკურორს და ა.შ. მოთხოვნის შემთხვევაში.
- 3.5. კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს მომხმარებელთან საუბრების სატელეფონო ჩაწერა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.
- 3.6. კომპანიას უფლება აქვს გაგზავნოს საინფორმაციო, მათ შორის სარეკლამო შეტყობინებები მომხმარებლის ელექტრონულ ფოსტაზე და მობილურ ტელეფონზე. მომხმარებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს სარეკლამო სახის ინფორმაციის მიღებაზე უარის მიზეზების განმარტების გარეშე.
- 3.7. კომპანიას უფლება აქვს გამოიყენოს ტექნოლოგია „COOKIES“, „COOKIES“ არ შეიცას კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ გადაეცემა მესამე პირებს.
- 3.8. კომპანია ღებულობს ინფორმაციას საიტის გამოყენებით მომხმარებლის ip მისამართის შესახებ. მოცემული ინფორმაცია არ და ვერ გამოიყენება სტუმრის იდენტიფიცირებისთვის.
- 3.9. საიტზე შესვლითა და მისი გამოყენებით, ასევე შესაბამის ველში მონიშვნის გაკეთებით, თქვენ ეთანხმებით, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც თქვენთვის ცნობილი გახდება მომსახურების ფარგლებში, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და ვალდებული ხართ არ გაახმაუროთ/გადასცეთ მესამე პირებს.

#### **4. შეცდომები, უზუსტობები და გამოტოვებები**

- 4.1. დროდადრო შესაძლოა ჩვენს გვერდზე ან ჩვენს მომსახურებაში იყოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ტიპოგრაფიულ შეცდომებს, უზუსტობებს ან არის გამოტოვებები, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს პროდუქტის აღწერილობას, ფასებს, რეკლამირებას, შეთავაზებას, ტრანზიტის დროს და ხელმისაწვდომობას. ჩვენ ვინარჩუნებთ უფლებას ნებისმიერ დროს წინასწარი შეტყობინების გარეშე შევასწოროთ ნებისმიერი შეცდომა, უზუსტობა ან გამოტოვება, და შევცვალოთ ან განვაახლოთ ინფორმაცია ან გავაუქმოთ დაკვეთები, თუ რომელიმე ინფორმაცია მომსახურებაში ან ნებისმიერ ვებგვერდთან დაკავშირებით არის არაზუსტი (მათ შორის თქვენს მიერ დაკვეთის შემდეგ).

- 4.2. ჩვენ არ ვიღებთ ვალდებულებას განვაახლოთ, შევცვალოთ ან დავაწესოთ მომსახურების ან ვებ-გვერდთან დაკავშირებული ინფორმაცია, ფასების შესახებ ინფორმაცია, თუ ეს მოთხოვნილი არ არის კანონით.
- 4.3. კომპანია იყენებს სათანადო და ბაზრის პრაქტიკით დანერგილ დაცვის სტანდარტულ ტექნოლოგიებს თქვენი პირადი ინფორმაციის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია იღებს გონივრულ ზომებს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის უსაფრთხოება, ჩვენ ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ ეს ინფორმაცია არ იქნება მოპოვებული ან გაშიფრული სხვების მიერ უკანონო საშუალებების გზით, როგორც არის ჰაკერული თავდასხმა, თაღლითობა ან სხვა. არ არსებობს საშუალება, რომლითაც მიღწეული იქნება ინფორმაციის აბსოლუტური დაცვა ასეთი შეტევებისგან. ამდენად, კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ინფორმაციის ზემოაღნიშნული სახით გამჟღავნებისთვის.

## **5. საბოლოო დებულებები**

- 5.1. ეს პირობები წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებას თქვენსა და კომპანიას შორის.
- 5.2. წინამდებარე მომსახურების პირობები და ნებისმიერი ცალკე ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გეწევთ მომსახურება, უნდა დარეგულირდეს და განიმარტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.3. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს პირობები წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ახალი პირობები ძალაში შედის მისი საიტზე განთავსების მომენტიდან.
- 5.4. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.
- 5.5. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან და ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ.
- 5.6. იმ შემთხვევაში, თუ დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ ადსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 ნაწილის საფუძველზე, რაც არ გამორიცხავს მხარეთა შესაძლებლობას, დავა გააგრძელონ ზემდგომ ინსტანციებში.

## **6. კონტაქტი**

საიტის გამოყენების პირობებთან დაკავშირებით, ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

032 2 500 118, ნუცუბიდის ქ. 82, ბინა 103, თბილისი, საქართველო, [info@agsoland.ge](mailto:info@agsoland.ge)